მენორა

ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲑᲠᲐᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1993 ᲬᲚᲘᲡ �მᲐᲠᲢᲘᲓᲐᲜ

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ-ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ᲔᲚᲣᲚᲘ
№8-9 (444-445)
(5778)
2018

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

საქართველოს ებრაელთა თემის ძვირფასო წევრებო,

მინდა გულითადად მოგილოცოთ დამდეგი როშ ჰა შანა. ამ დღეებში ჩვენს ოჯახებში შემოაბიჯებს ებრაული წელთაღრიცხვის ახალი — 7579-ე წელი. ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი ყოველი ებრაელისათვის ქვეყნიერების რომელ კუთხეშიც არ უნდა იმყოფებოდეს, მშვიდობა მოეტანოს ისრაელი მიწაზე, რომ ჩვენი ძმები, მამები, შვილები არ ეწირებოდნენ ტერორიზმის ბოროტებას.

ეს ახალი წელი ბედნიერი ყოფილიყოს მთელი საქართველოსთვის, იქ მცხოვრები ებრაელობისათვის, ქართულ მიწაზე დასადგურებულიყოს მშვიდობა, ხვავი, ბარაქა.

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესი ახალ წელსაც ისევე იზრუნებს ებრაული თემების სიმტკიცისა და მშვიდობისათვის, ისევე შეებრძოლება ანტისემიტიზმს, როგორც აქამდე უბრძოლია.

შანა ტოვა ვე მეთუკა, ძვირფასო მეგობრებო!

მიხეილ მირილაშვილი

ევრ-აზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტი

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲛᲔᲜᲝᲠᲐᲡ“ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ ᲕᲔᲑ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲖᲔ WWW.MENORA.GE

ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან!..

სიტყვა საქმის ექოა

ერის ძარღვი, მისი შვილების მახვილგონიერებაშია. ჩვენი თემის ახალგაზრდა, წარმატებულ შვილებთან ურთიერთობა, სიხარულისა და აღტაცების მომგვრელი გრძნობაა. თითქოს აღარ უნდა მაკვირვებდეს მათი მიღწევები, მაგრამ ამჟამად, ჩემმა მოსაუბრემ, მაგდა კორახაშვილმა, ჭეშმარიტად მომხიბლა. შესაშური გარეგნობის გარდა, მდიდარი შინაგანი სამყაროა მისი მთავარი დამახასიათებელი.

მაგდა თბილისში დაიბადა. მისი მშობლები თანამედროვე, განათლებული ადამიანები გახლავან. დედამ, ციური ახალკაციშვილმა, თბილისის უნივერსიტეტში ქიმიის ფაკულტეტი დაამთავრა. ამჟამად ებრაულ სააგენტოში „სოხნუთი“ ადმინისტრაციულ დირექტორად მუშაობს. მამა, თამაზ კორახაშვილიც ამავე უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ქიმიკოსია. იგი მუშაობს აეროპორტის უსაფრთხოების უფროსად. მაგდას ძმა, შოთა, ბრენდმენეჯერია კომპანიაში „**Mazerat**“. იგი პროფესიონალი სპორტსმენია წყალში ხტომაში და ევროპის ჩემპიონატში პირველ ხუთეულშიც მოხვდა.

— დედის სიტყვები მუდამ ჩამესმის. იგი ასი პროცენტით სჭვრეტს რა მომიტანს წარმატებას და იმავდროულად სრულ თავისუფლებას მანიჭებს. მამა ჩემი საყრდენია. მან შთამაგონა, რომ ყველაფერს მივაღწევ, თითქოს შთამბერა თავდაჯერება. იგი ჩემთვის დიდი ავტორიტეტია — ამბობს მაგდა.

მაგდა საჯარო სკოლის მე–9 კლასიდან გივი ზალდასტანიშვილის სახ. ამერიკულ აკადემიაში ჩაირიცხა სპეცშერჩევით, სადაც სწავლა ინგლისურ ენაზეა. ეს აკადემია განთქმულია თავისი დემოკრატიულობით და პედაგოგების ინდივიდიალური მიდგომით, რაც იმაში გამოიხატება, რომ დაშტამპული პროგრამით არ ასწავლიან — მოსწავლეებს ყველა საგანში ეძლევათ თემა, რომლის დამუშავების შემდეგ, იმართება მსჯელობა. ეს კი, თავის მხრივ თავისუფალი აზროვნების საწინდარია. თავად მაგდამ, მე–10 კლასში ჩამოაყალიბა იურიდიული წრე და შემოიკრიბა თანატოლები. საქმე იქამდე მივიდა, რომ პროფესიონალი იურისტიც კი მოიწვიეს, რომელიც კვირაში ორჯერ კონსულტაციებს უტარებდა მათ. არჩევდნენ როგორც კრიმინალურ, ასევე სოციალურ დანაშაულებებს და ვერდიქტიც კი გამოქონდათ. ეს შეიძლება მიახლოებული ყოფილიყო არსებულ იურიდიულ კოდექსებთან ან პირიქით, დაშორებული. სწორედ მაშინ, გამოცდილი იურისტი აანალიზებდა საქმის ვითარებას. სკოლის დირექციის მხრიდან, მხოლოდ თანადგომასა და დახმარებას გრძნობდნენ. ესეც დასაბამი იყო კრიტიკულ მომენტში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღებისა ცხოვრების ყველა ეტაპზე.

მაგდამ სკოლა ბრწყინვალედ დაამთავრა და გაგზავნა თავისი საბუთები ამერიკასა და შვეიცარიაში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე უნივერსიტეტიდან მოუვიდა ჩარიცხვის თანხმობა, არც ერთი არ იყო სრული დაფინანსებით. ნაწილობრივი კი, მოგეხსენებათ არ არის იოლი ოჯახისთავის. იმედგაცრუებული, მაგრამ არა დათრგუნული, მაგდა რჩება თბილისში და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში იწყებს სწავლას იურიდიულზე. „სოხნუთის“ წარმომადგენლობის უფროსის, ავი ოფირის ხელშეწყობით, მაგდამ საქართველოს ებრაელ სტუდენტთა გაერთიანება დააარსა.

— **როგორ მოგივიდა ეს აზრი?** — ვეკითხები.

— „მოვიძიე ცნობები იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაშია ამგვარი გაერთიანებები და მათ პროექტებში უამრავი საინტერესო პროგრამა ხორციელდება: სტუდენტური შეხვედრები, გაცვლითი სემინარები. ჩვენც შევუერთდით ებრაელ სტუდენტთა საერთაშორისო გაერთიანებას. გერმანიასა და შვეიცარიის შეხვედრებში ჩვენი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ.

მაგდას იმდენად სწყუროდა საზღვარგარეთ სწავლა, რომ დედამ ურჩია, კიდევ ერთხელ ეცადა. ერთი წლის შემდეგ მან გაგზავნა თავისი მონაცემები ავსტრიაში და მიიღო დადებითი პასუხი ვენის, ლაუდერის სახ. უნივერსიტეტიდან, რომ ჩარიცხულია ფინანსების ფაკულტეტზე. რა ძალებით ახერხებდა, ვერ ამიხსნია, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტექნიკური არ მიუტოვებია. წელიწადში ორჯერ, გამოცდების პერიოდში თბილისში ჩამოდიოდა. ვენაში სავალდებული იყო ორი უცხო ენის შესწავლა. მან უპირატესობა გერმანულსა და ივრითს მიანიჭა. ამრიგად, სამ წელიწადში ორივე უმაღლესი სასწავლებლიდან ჰქონდა ბაკალავრის წოდება უმაღლესი ქულებით, რაც წითელი დიპლომის ტოლფასია. ბედზე საგამოცდო ვადები არ ემთხვეოდნენ. ვენაში კი ყოფილა მეორედ გადაბარების კანონი, მაგრამ მაგდას არც ერთხელ არ უსარგებლია. როგორც ახალბედა ფინანსისტი, მაგდა კორახაშვილი სტაჟირებას გადიოდა ავსტრიის ნავთობისა და გაზის კომპანიაში. შემდეგ საქართველოში დაბრუნდა.

თბილისში მან გაიარა გასაუბრება „**GIZ**“ –ის სახელწოდებით ცნობილი კომპანიის პრეზიდენტთან ბატ. კახა კოხრეიძესთან. ეს გახლავთ მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ასოციაცია. იგი თანამშრომლობს გერმანიის იმ სახელმწიფო კორპორაციასთან, რომელიც აფინანსებს დამწყებ მეწარმეებს.

— ***პირადად შენ რა გევალებოდა?***

— ჩემ ფუნქციაში შედიოდა ახალი საქმის ინიციატორთა დაკვალიანება, ვაძლევდი სწორ მიმართულებას, თუ როგორ უნდა გაეტანათ და დაეცვათ ბიზნეს-პროექტის ინტერესები. კახა კოხრეიძემ კიდევ ერთი პლატფორმა შექმნა, სადაც ბავშვები და მოზარდები ეუფლებიან ტესტებზე მუშაობას, რაც მოითხოვს მათემატიკურ აზროვნებასა და ანალიზის უნარს. ბატონმა კახამ, შენიშნა რა მაგდაში ლიდერული თვისებები, იგი დირექტორად დანიშნა.

— ეს ჩემთვის დიდი პატივიც იყო და ძალისხმევასაც მოითხოვდა, რამეთუ იგი ინოვატორია განათლების სფეროში და მოზარდები მსოფლიო სტანდარტებით ემზადებიან უმაღლესი განათლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ სამსახურიც საინტერესო მქონდა და ანაზღაურებაც ბევრისთვის საოცნებო, გულმა მაინც ისრაელისკენ გამომიწია — ამბობს მაგდა.

— ***მშობლები ადვილად დაგთანხმდნენ?***

— წარმოიდგინეთ, კი. მეტსაც გეტყვით, 8–10 წლისა ვიქნებოდი, როცა დედამ გერმანულსა და ივრითში კერძო მასწავლებლებს მიმაბარა. ესეც მისი შორსმჭვრეტელობა იყო.

— ***ივრითის ის დონე საკმარისი აღმოჩნდა?***

— რა თქმა უნდა, არა. სრულფასოვანი ინგლისურისა და უმაღლეს მათემატიკაში ასი ქულის წყალობით ჩავირიცხე ბარ–ილანის უნივერსიტეტში მაგისტრატურაში. რაც შეეხება ივრითს, ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩემ ქვეყანაში დავბრუნდი და დავიწყებულ ენას ვსწავლობ — აშკარად უხარია მაგდას.

— ***ისრაელელი სტუდენტები განსხვავდებიან საქართველოსა და ავსტრიისაგან?***

— მათთან დაახლოებამ უფრო შემაყვარა აქაურობა. ერთი ჯგუფი, რომელშიც მეც ვიყავი, გაემგზავრა პეკინის უნივერსიტეტში მოკლევადიანი კურსით. ჩვენ დავინახეთ, რომ ჩინეთში ბიზნეს პარტნიორების საქმიანობა ურთიერთობებზეა დამყარებული მაშინ, როცა ისრაელში პირველ პლანზე ბიზნესი და მხოლოდ ბიზნესია — მიამბობს მაგდა.

მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ, მეგობარმა ურჩია მაგდას ეთი ქოენისთვის მიემართა, რომელიც კომპანიაში „ვაჰიმ“ მუშაობს.

— მისი რეკომენდაციით გავგზავნე ჩემი ავტობიოგრაფია კომპანიაში „დელოიტ“, რომელიც მსოფლიოში ძლიერ აუდიტორიულ 4 ფირმაში შედის. ხუთ ეტაპად მიმდინარეობდა ტესტები, გამოცდები, გასაუბრებები და ბოლოს, ფირმის პრეზიდენტთან, ბატ. შიმონ ჟვულონთან ინტერვიუ გახდა გადამწყვეტი.

— ***ახლა შენი საქმიანობის შესახებ რას მეტყვი?***

— ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო კომპანიებთან. ჩვენი მოვალეობაა რისკების გაანალიზება დაფინანსების საკითხებში ბიზნესის უკეთ წარმართვის მიზნით. საზღვარგარეთ ხშირად მიწევს ყოფნა. ვიყავი სერბიაში, რუმინეთში, გერმანიაში, რუსეთსა და სხვ. კოლექტივი, სადაც მე ვმუშაობ, არაჩვეულებრივად მიწყობს ხელს და ჩემი ივრითიც დაიხვეწა.

— **მხოლოდ საზღვარგარეთის ფირმებთან თანამშრომლობთ?**

— არა, ისრაელის ისეთი კომპანიები, როგორიცაა „შტრაუსი“, „შლომო სიქსთი“, ინდოეთის სახელმწიფო ბანკის ფილიალი ისრაელში, ჩვენი აუდიტორული მომსახურებით სარგებლობენ.

— ***რწმენასთან რა დამოკიდებულება გაქვს?***

— ღმერთის არსებობას მხოლოდ უმეცარი უარყოფს. მიყვარს ებრაული ტრადიციების დაცვა. ჩემი ბაბუის, აწგანსვენებული ისაკ ახალკაციშვილის ოჯახში ჩვენი საფესახო ფუსფუსი და მზადება, დაუვიწყარია ჩემთვის.

— ***დასვენებისთვის დრო სულ არ გრჩება?***

— სრული ახალგაზრდული რიტმით ვცხოვრობ. მიყვარს ზღვა, თხილამურები და მეგობრული შეხვედრები. მშობლებსა და ძმასთან სიშორეს ამით ვავსებ. ისინი ჯერჯერობით თბილისში არიან.

გაიცანით, იდეების შადრევანი, კრეატიული, მრავალპრფილიანი მაგისტრი ფინანსისტი, აუდიტორი, 26 წლის მაგდა კორახაშვილი, რომელიც ბევრ ვაჟკაცს არტყმევინებს გულში მჯიღს.

აფერუმ შენდა!

ლია კრიხელი

„ ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა“

ამ სიტყვებს შექსპირის ჰამლეტი ამბობს მამაზე. დღეს, როცა გარდაიცვალა ბესო მიხელაშვილი — განსაკუთრებული და გვერდაუვლელი პიროვნება, ბესოს შვილს — რომანს ძალუძს გაიმეოროს ჰამლეტის სიტყვები!

ბესო მიხელაშვილი ჩემი ახლობელი გახლდათ, კარგა ხნის ურთიერთობა გვაკავშირებდა, მაგრამ ჩემი ძმისშვილი — ბელა მისი ვაჟის — რომანის მეუღლე რომ გახდა, ჩვენი ახლობლობა და ურთიერთობა, კიდევ უფრო განმტკიცდა, თორემ არც მანამდე ვიყავით შორეულნი, ვმეზობლობდით. სენაკში (მაშინ მიხა-ცხაკაიას რომ ეძახდნენ, ამ ბოლშევიკს ეს პატივი, მრავალი სხვაც, იმიტომ ხვდა, რომ 1917წ. ჟენევიდან რევოლუციურ პეტროგრადში ვ.ლენინთან ერთად ჩამოვიდა — ერთი ვაგონით იმგზავრეს) ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, ჩვენი სახლები ერთმანეთის მოპირდაპირე მხარეს იდგა და დილა -საღამო-შუადღეს ერთმანეთს ღიმილითა და პატივისცემით შევცქეროდით.

დღესაც თვალწინ მიდგას უკვე ასაკოვანი — ოთხმოცს გადაცილებული, მაგრამ მაინც მხნე, შაბათა ბიძიას — ბ-ნი შაბათა მიხელაშვილის — ნათელი სახე. თითქოს გუშინ საღამოს დანახული სურათია: შაბათა ბიძია მზის ჩასვლის ხანს როგორ ბრუნდება ბაზრიდან — მაღაზია იქ ჰქონდა , მეუღლის დანახვაზე, ჭიშკართან დედაჩემთან მომუსაიფე როზია ბიცოლა, როგორ შეწყვეტს საუბარს და აჩქარებული ნაბიჯით გაეშურება სამზადისაკენ, რომ დამაშვრალ მეუღლეს ისე მიეგებოს, როგორც ათწლეულობის განმავლობაში ეგებებოდა.

დარწმუნებული ვარ, ეს ასე არ იყო, მაგრამ სულ მდევდა ფიქრი რომ დიდებულმა კონსტანტინე გამსახურდიამ სწორედ შაბათა მიხელაშვილზე დაწერა:

„ ეჰ, ვინ გაიგებს, იმ შავ ჭმუნვას, რომელიც მზის ჩასვლისას ღიღინით მიმავალი ებრაელის სულში სდიოდეს. რამდენ პატიოსან, მხნე ახალგაზრდა ებრაელის სულს აცისკროვნებს ის აზრი, რომ ოდესმე ებრაელი ერი ნარეკლით დაწყლულებულ ფეხს ერთხელ კიდევ დაიბანს იორდანეს წმინდა წყალში“

ბ-ნმა შაბათა მიხელაშვილმა ფეხი ვერ ჩაიბანა იორდანეს წმინდა წყალში: ერთ დილას ჩვენი ქუჩა ხალხით გაივსო. უამრავი ხალხი მოვიდა, ამერ-იმერიდან იყვნენ — შაბათა მიხელაშვილი აბრძანდა-გარდაიცვალაო.

ამ დიდხნოვანი ახლობლობის გამო, სულაც არ გამოვრიცხავ, რომ ბესო მიხელაშვილზე წერისას სუბიექტური ვიყო, თუმცაღა, მე მისი ცხოვრების ზოგიერთ მომენტს გავიხსენებ, მკითხველმა კი თავად განსაჯოს, სად არის სუბიექტივიზმი და სად, ერთობ თავშეკავებული აღფრთოვანება ამ პიროვნების მიერ განვლილი ცხოვრებით.

ბესო მიხელაშვილი თავისი დროის საქართველოს ებრაელობაში ერთობ გამორჩეული პიროვნება გახლდათ. მისი ეპოქის თბილისის ებრაელთა ყოფა იმითაც იყო მნიშვნელოვანი და საინტერესო, რომ ღირსეულ პიროვნებათა თანავარსკლავედში ცხოვრობდა. დიახ, მის გვერდით უამრავი ღირსეული ებრაელი კაცი მოქმედებდა — ბევრი გამორჩეული ისრაელისშვილი ამშვენებდა საქართველოს. იმათზეც უნდა იწერებოდეს, იმათი ამბავიც უნდა გვიამბონ, ვისაც ეს ხელეწიფება, ვინც კარგად იცნობდა ამათუიმ პიროვნებას, სიახლოვე ჰქონდა მათთან. ნუ იფიქრებე, რომ წერა მათი საქმე არ არის. ამ მხრივ ბესო მიხელაშვილმა ჩინებული მაგალითად მოგვცა: ჟურნალიზმთან არა-რა საერთო არ ჰქონია — მთელი ცხოვრება ისე გალია, ალბათ, მოკითხვის ბარათის მეტი არაფერი დაუწერია, მაგრამ სიჭარმაგის ჟამს ხელში კალამი აიღო და დაგვიტოვა მშვენიერი პორტრეტები მისი და მანამდელი თაობის ქართველი ებრაელებისა, დახატა თავისი ეპოქა. ჯერ დამირეკავდა, მეტყოდა ამაზე და ამაზე დავწერე და „მენორაში“ დასაბეჭდად გიგზავნიო. ხელნაწერს აგზავნიდა — ძალიან წვრილი, ძნელად გასარჩევი ასობით წერდა, მე კი ინტერესითა და გაოცებული ვკითხულობდი მის ნაწერს თავის დროსა და პერსონაჟებზე.

ნიჭით სავსე იყო. რაც ჰქონდა, ცხოვრებაში რაც დააგროვა, მხოლოდ თავისი ნიჭის წყალობით და ისევე უხვად სჩვეოდა გაცემა, როგორც შოვნა — საჩუქრების გაცემა უყვარდა ძლიერ — თავისთვის რომ რაიმეს იყიდდა, რომელიღაც ახლობელი გაახსენდებოდა და მეორე, მესამესაც ყიდულობდა.

თანავარსკლავედში ცხოვრობდა-მეთქი ვთქვი ზემოთ. ასე იყო: თბილისის ბეით ქნესეთი ამ ბრწყინვალე სახეებით უფრო იყო გაჩახჩახებული, გაბრწყინებული, ვიდრე ელექტრონის შუქით. ღვთისმოშიში, გამტანი, უპოვართა შემწე ადამიანების ნათელი სახეებით. 30-35 წლის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ეს ღვთისმოში ში ადამიანები ერთობ გულადნი იყვნენ, უმამაცესნიც კი — ღვთისმორჩილობა და მინდობა აძლევდათ ძალას: თურმე საბჭოური ბოლშევიზმის წლებში თბილისის ებრაელთა თემი მთელი საბჭოეთის ბეით ქნესეთების ნახევარს აფინანსებდა, რომ შუა აზიისა, თუ უკრაინის, კავკასიისა, თუ ბალტიისპირეთის ბეით ქნესეთებში ლოცვა არ შეწყვეტილიყო, სსრკ-ში ერთადერთი — მოსკოვის რელიგიური სასწავლებლის — იეშიბის დამფინანსებლებიც ისევ ჩვენი ჯამაათის ეს უმამაცესი წევრები ყოფილან. თბილისის ებრაული თემი-მეთქი. უცხოეთში ერთმა ძვირფასმა პიროვნებამ — ქართველმა ებრაელმა მიამბო ეს მამაცობა როგორ იყო გასაიდუმლოებული და ამ თემაზე დაწვრილებითი საუბარი არც დღეს მიაჩნიათ მიზანშეწონილად. ამაზე მეც სიტყვას აღარ გავაგრძელებ. ბესო იმ მცირერიცხოვან, ძალიან მცირერიცხოვან ებრაელთა შორის მეგულება.

* * *

იყვნენ და არიან თავიანთი ებრაელობით მოვაჭრე ებრაელები — თავიდან ბოლომდე არასოდეს ერთი ლოცვაც რომ არ ულოცნიათ, ისიც კი არ იციან, თეფილინი რომელ ხელზე იდება, მაგრამ ებრაელობის სახელით მიცურავენ და მიცურავენ ცხოვრების ზღვაში, ისეთებიც არიან, ლოცვაც კარგად ძალუძთ და მოსერობასაც რომ ეწევიან. ცხოვრებას ათასი შენაკადი აქვს — ყოველნაირი ზნეობის ადამიანს წარმოშობს, მაგრამ არიან ბესო მიხელაშვილისა და მისი თაობის ბევრი ღირსეული წარმომადგენლისნაირი ებრაელნიც. მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართველ ებრაელობაში ასეთი ბევრი იყო, — ებრაული კლასიკური მემკვიდრეობის სიბრძნე მზერაში რომ დაუნჯებოდათ. ჯამაათის გამტანნი და ადამიანთა მშველელნი, მათს სიტყვა-პასუხს რომ ვისმენდი, გარემო სამყაროსთან, იქნებოდნენ იუდეველნი, ქრისტიანნი, თუ სხვანი, მათს ურთიერთობას რომ შევყურებდი, ჯამაათის მეტი სიყვარულის სურვილი მიჩნდებოდა — არა შიშისგან მოგვრილი სიფრთხილის, წინდახედულობის, სიყვარულისა. ბესო მიხელაშვილი კი ერთი ამათგანი იყო — საქართველოს ებრაელობის დამამშვენებელი, ადამიანზე მუდამ კარგის მოუბარი, სიკეთის გამავრცელებელი, თუმცა, ნეგატიურის უმალ, დაუხანებლად შემფასებელი და სათანადოს შემძახებელიც: პირიდან მუდამ თაფლი კი არ სდიოდა, თუ საუგოს ხედავდა, არა-რა კომპლექსი არ აწუხებდა, გააზრებულ სათქმელს იტყოდა. ისეთი კაცი იყო, ერს რომ ღირსებასა და სახელს მატებდა. მჯერა ჩვენი ებრაელობის ახალ თაობაში ასეთნი კვლავაც იქნებიან — ძალიან კარგი, წინდახედული და აზრიანი თაობა მოდის.

ხშირად მაგონდება ერთი ასეთი შემთხვევა: ჩემი შვილის — ლანასა და გურამ ხარაზიშვილის ნიშნობაში ჩვენი თემის შვილებთან — ნათესაობასთან, მეგობარ-ამხანაგებთან ერთად, ქართული კულტურის — მწერლობისა და თეატრის დიდებული მოღვაწენიც იყვნენ. თამადობა ბესო მიხელაშვილს ვთხოვე. ძალიან კარგი ლხინი გაიმართა — ქართველმაც და ებრაელმაც გულითადად მოილხინა. ნიშნობის მეორე დღეს მირეკავს საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ეთერ გუგუშვილი და მეკითხება:

— რატომ არ ვიცნობ მე ჩვენს წუხანდელ თამადას, ჩანს, ჩინებული მოღვაწეა, თბილისში არ ცხოვრობს?

როცა ყველაფერი ავუხსენი, დასძინა:

— В самом деле великалепный! ასეთი იყო ბესო. ამიტომ ვამბობ ებრაელობის ღირსების შემმატებელი კაცი გახლდათ-მეთქი. ჩვენი ერის სიბრძნესა და სიდიადეს თავისი ცხოვრების ნესით, სიტყვა-პასუხით, ადამიანებისადმი დამოკიდებულებით წარმოაჩენდა. ერთხელ, საქართველოს ყოფილმა შინაგან საქმეთა მინისტრმა შოთა გორგოძემ პირად საუბარში მითხრა: ბესო ძალიან მენატრებაო. ეს კი ადამიანის ცხოვრების ნესის შეფასებაა. საქართველოში ებრაელობას სათანადო პატივს რომ მიაგებდნენ, თუ საქართველოში ებრაელობას მეგობრად , გამტანად, ჭირსა, თუ ლხინში გვერდში ამომდგომ ერის შვილებად მიიჩნევდნენ, ბესო მიხელაშვილისა და მისნაირ ისრაელისშვილთა გამოისობითაც იყო. როგორც ჩანს, ამგვარი ისრაელიშვილი ამ 26 საუკუნის განმავლობაში საქართველოში ბევრი გვყავდა, ძალიან ბევრიც — ასე რომ არ ყოფილიყო, ქართველი ებრაელობა ესოდენ დაფასებულნი ვერ გახდებოდნენ. ასეთი ისრაელისშვილები ჩემი დროის საქართველოს ბევრ ქალაქშიც მეგულებოდა — თითქმის ყოველ კუთხეში.

ცნობილია, რომ წინა საუკუნეებში ქართველი ებრაელები საზოგადო ასპარეზზე კანტი-კუნტად სჩანდნენ. პირველი მერცხლები მაინც დავით და გერცელ ბაზოვები და მათს ირგვლივ შემოკრებილი რამდენიმე ადამიანი გახლდათ. მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში სურათი თითქმის იცვლება — ებრაელობა მეცნიერების, კულტურის, ეკონომიკის, მედიცინის სარბიელზე ხშირად ჩნდება. ბესო მიხელაშვილს ჰქონდა ერთი საუკეთესო თვისება, როცა ებრაელი ახალგაზრდის წარმატებას გაიგებდა, სულში — ფურიმის დღესასწაული ედგა. ასგზის მინახავს, ამათუ იმ ებრაელზე აღტაცებით მოსაუბრე. მისი მეგობრის — რაფო ჩაჩანაშვილის ვაჟმა — თემურიმ მედიცინაში სადოქტორო დისერტაცია რომ დაიცვა, ძალიან ხარობდა და თუ სწორად მახსოვს , წვეულებაც გაამართა, ასე იყო მერაბ იზრაელაშვილის სადოქტორო დისერტაციის შემდეგ. არ გამოუტოვებია თბილისის თეატრებში ჩემი პიესის არცერთი პრემიერა. მახსოვს, 1990 წ. შოთა რუსთაველის სახ. აკადემიურ თეატრში ჩემი პიესის „შეთქმულება“ პრემიერაზე ქ-ნ ნორასთან ერთად როგორ მოვიდა თეატრში — სულ რაღაც ორი-სამი საათის ჩამოფრენილი გახლდნენ ამერიკიდან. ძალიან მომქანცველი მოგზაურობა არაფრად ჩააგდო. გაკვირვება რომ შემატყო, თავად გაიკვირვა: „აბა, სად უნდა ვიყოთ, გურამ, ამხელა ამბავია!“

რატომ იქცეოდა ასე? სხვათა გამარჯვება, სიხარული, თავისად მიაჩნდა და ამითაც გახლდათ დიდი.

როცა ღირსეული კაცი წუთისოფელს გაეცლება, ტოვებს სახელს, შთამომავლობას. მერე ეს შთამომავლობაც ეცლება ქვეყნიერებას. ასეთია ღვთისეული კანონი. ბესომ სახელიც დაგვიტოვა და ღირსეული შთამომავლობაც.

და კიდევ დაგვიტოვა ერთი ისეთი რამ, რაც მის სახელს ძალიან დიდხანს შეინახავს: გაზეთ „მენორაში“ დაბეჭდილი წერილები ადრინდელი, თუ მისი დროის საქართველოზე, ქართველ ებრაელობაზე, ჩვენი ხალხის ცხოვრებაზე. ეს ყველაფერი კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის ცისქვეშეთში მის არსებობას — ე.ი. მან თავისი ფუნქცია ჩინებულად შეასრულა. ახლა ჩვენ უნდა შევეცადოთ და ალბათ, შევძლებთ კიდეც, ამ ნაწერებს თავი მოვუყაროთ, ცალკე წიგნად გამოვცეთ, რათა მომავალმა თაობებმა იცოდნენ თუ რა ღირებულებებს ემსახურებოდა ადამიანი, რომელსაც ბესო ერქვა და გვარად მიხელაშვილი გახლდათ.

გურამ ბათიაშვილი

საქართველოს ებრაელობას ღმერთმა უმრავლოს თქვენნაირი მეგობრები

გურამ ლორთქიფანიძე — 80

* * *

გურამ ლორთქიფანიძე ოთხმოცი წლის შესრულდა... როცა მე გავიცანი ოცი წლისაც არ იყო; გავიცანი მოსკოვში, მ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც იგი ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა. სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაში მივიღეთ მონაწილეობა, მოხსენებები წავიკითხეთ; ორივემ არქეოლოგიაში. ჩვენმა მოხსენებებმა მეცნიერთა ყურადღება მიიქცია და უნივერსიტეტის შრომებში დაიბეჭდა კიდეც. აქედან მოკიდებული (გურამი შესანიშნავი მასპინძელიც იყო) საფუძველი ჩაეყარა ჩვენს ურთიერთობას, რომელიც, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, მეგობრული იყო. ასეა დღემდე.

გურამ ლორთქიფანიძე დღესდღეობით გამორჩეული ქართველი მეცნიერია. იგი წარმატებული არქეოლოგია. გამოვყოფდი მის მნიშვნელოვან არქეოლოგიურ საქმიანობას ბიჭვინთაში, სადაც წლების მანძილზე თავის მეუღლესთან, ასევე შესანიშნავ არქეოლოგთან პროფესორ ნინო კიღურაძესთანერთად აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს. გურამ ლორთქიფანიძის როგორც მნიშვნელოვანი მეცნიერის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, უნივერსიტეტის კათედრის გამგის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის ღვაწლი იმითაც განისაზღვრება, რომ იგი მხოლოდ მთხრელი არქეოლოგი კი არ არის, არამედ ავტორია არქეოლოგიური მასალის საფუძველზე შექმნილი განზოგადოებული ხასიათის მონოგრაფიებისა. განსაკუთრებულად ფასეულია გურამ ლორთქიფანიძის გამოკვლევები კოლხეთის ისტორიის პრობლემებზე. მას დიდი ამაგი მიუძღვის ანტიკური პერიოდის ნუმიზმატიკური მასალის შესწავლასა და გამომზეურებაში.

განსაკუთრებულია გურამ ლორთქიფანიძის, როგორც მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწის სახე. მან სერიოზული საზოგადოებრივი საქმიანობა გასწია სხვადასხვა დროს და კოლეგების, - პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების დიდი მადლიერება დაიმსახურა. ბატონი გურამის თაოსნობით ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი გადაწყდა უნივერსიტეტში. მხოლოდ იმ ფაქტის დასახელება, რომ მისი უშუალო თაოსნობით შეიქმნა ზოგადად კულტუროლოგიური მიმართულება და დაარსდა კულტუროლოგიის კათედრა, ვფიქრობთ ძალზედ მნიშვნელოვანია. გურამ ლორთქიფანიძის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით უნივერსიტეტში შეიქმნა იუდაიკის კაბინეტი, რომელმაც ფაქტობრივად ახალი სული შთაბერა ისტორიისა და საქართველოს ხალხების და კონკრეტულად მეცნიერთა ურთიერთობას.

გურამ ლორთქიფანიძე ძალზე სისხლსავსე მეცნიერულ საქმიანობას ეწევა, მეტად პროდუქტიულია. მან მონაწილეობა მიიღო არაერთ სამეცნიერო კონფერენციაში, სადაც თავისი არაერთი მეცნიერული ნაკვლევს წარადგინა. იგი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აქტიური წევრია - მონაწიელობს ყველა მნიშვნელოვან ღონისძიებაში.

ოთხმოცი წლის გურამ ლორთქიფანიძე მედგრად დგას მეცნიერების სამსახურში, შეუჩერებლად აგრძელებს კვლევით საქმიანობას და საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ჩემი სურვილია, რომ ბატონი გურამ ლორთქიფანიძის თანაზიარი და თანამგზავრი იყოს ძლიერი ჯანმრთელობა და წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობა.

მრავალჟამიერ ძვირფასო გურამ!

აკადემიკოსი როინ მეტრეველი

* * *

ცნობილ ქართველ მეცნიერს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტ გურამ ლორთქიფანიძეს 80 წელი შეუსრულდა.

ბატონი გურამის სამეცნიერო მოღვაწეობის შედეგებს მისი კოლეგები - ისტორიკოსები და არქეოლოგები უკეთ შეაფასებენ. ჩემი, კი როგორც მისი უმცროსი მეგობრის უმთავრესი ამოცანაა ამ პიროვნების ადამიანური თვისებების წარმოჩენა.

ჩვენ შორის ურთიერთობა იწყება 2009 წლიდან, როცა ბატონი გურამი მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტის არჩევნებში და აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების წინაშე წარსდგა სამეცნიერო მოხსენებით. მას ბევრი კონკურენტი ჰყავდა, მაგრამ მათაგან განსხვავებით ბატონი გურამის მოხსენება გამოირჩეოდა ღრმა მეცნიერული საფუძვლებით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, თავად მომხსენებელმა თავი დაგვამახსოვრა როგორც ძალზედ თავმდაბალმა ადამიანმა. ამ მოხსენების მოსმენის შემდეგ მივიღე გადაწყვეტილება, რომ ხმა მისთვის მიმეცა და სასიხარულოა, რომ ეს გადაწყვეტილება ჩემმა კოლეგებმაც გაიზიარეს და პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე ღირსეულად იქნა არჩეული საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამის შემდეგ ჩვენმა ურთიერთობამ აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფორმატის ფარგლებში სისტემატიური ხასიათი მიიღო.

2010 წლეს სხვა ქართველ კოლეგებთან ერთად ვიყავით მეზობელ აზერბაიჯანში, ბაქოში, სადაც მონაწილეობა მივიღეთ ბაქოს ჰუმანიტარულ ფორუმში, რომელიც გამოირჩეოდა მაღალი დონის წარმომადგენლობით (საპატიო სტუმრებად მოწვეულ იყვნენ არაერთი ქვეყნის ყოფილი პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრები, და, რაც მთავარია, ნობელის პრემიის 11 ლაურეატი მეცნიერების სხვადასხვა დარგში). მე გამიმართლა, რომ გავხდი ბატონი გურამ ლორთქიფანიძის მიერ ამ ფორუმეზე გაკათებული მოხსენების მაღალი შეფასების მოწმე.

2013 წელს, როცა მივიღე გადაწყვეტილება, რომ მონაწილეობა მიმეღო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში, ბატონი გურამ ლორთქიფანიძე გვერდში დამიდგა, როგორც ჩემი გუკლშემატკივარი და მრჩეველი.

ბატონი გურამი დედა-უნივერსიტეტის ემერიტუს პროფესორია, და რექტორად ჩემი არჩევის შემდეგ, ის როგორც რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი მეხმარებოდა უნივერსიტეტისთვის სასიკეთო პროფესიული რეჩევებით.

პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე ძალიან თბილი, ყურადღებიანი ადამიანია, თუმცა არაერთხელ მქონია შესაძლებლობა ვყოფილიყავი იმის მოწმე, თუ რამდენად პრინციპულია ის სამეცნიერო ნაშრომების შეფასებისას.

მე ვამაყობ იმით, რომ ვარ ბატონი გურამის უმცროსი მეგობარი და ვუსურვებ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს, შემოქმედებით წარმეტებებს და ყოველივე კარგს მისი ოჯახის და მეგობრების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, სრულიად საქართველოს საკეთილდღეოდ!

აკადემიკოსი ვლადიმერ (ლადო) პაპავა

* * *

ძნელად დასაჯერებელია. იჭვიც გამიელვა: მთვარეს კალენდარით ხომ არ ითვლის წლებს? ის მოკლე წელიწადია და ახალ- ახალი წელი უფრო მალე დგება ხოლმე... მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს ხო მხოლოდ კალენდარული ოდენობაა და არა სულიერი და მით უმეტეს - არა შემოქმედითი. ბატონ გურამის მეცნიერული მიღწევების შეფასებას სულაც არ ვაპირებ ახლა და აქ. არც კი შემიძლია-ეს ჩემს კომპენტენციას აღემატება და ნაადრევიც არის- დღემდე გაკეთებულს კიდევ ბევრი რამ შეემატება.

ერთი კი ნათელია დღესვე. ქართულ ეროვნულ ინტელექტუალურ მეობას რამდენიმე აღიარებული სამეცნიერო სკოლა ახასიათებს. და ერთ-ერთი ასეთი სკოლაა ქართული ისტორიოგრაფიული ტრადიციაა,რომელიც ბრწყინვალე სახელების მთელ წყობას ითავსებს...და ნამდვილად დიდი მკლევარი და დიდი ადამიანი უნდა იყო, რომ ამ წყობაში არ დაიჩრდილო, რომ ღირსეული და კუთვნილი ადგილი დაიკავო. გურამ ლორთქიფანიძეს კი ამ წყობაში დიდი ხანია დამკვიდრებული აქვს თავისი ადგილი. ლორთქიფანიძეებს რომ დაუკვირდები, დარწმუნდები, რომ სამი ისტორიკოსი ერთ ოჯახში სულაც არ არის ჭარბი! ეს ხომ თქვენი საზიარო ზეიმია და სამივეს გულწრფელად გილოცავთ.

ეს მოკლე გამოხმაურება რაღაც ლამაზი სიტყვებით მინდოდა დამემთავრებინა, მაგრამ ამაზე უკეთესად მე როგორღა ვიტყვი:

გულმა მიიღოს გულისა, ხვალემ იზრუნოს ხვალისა,

ღვინომ მიიღოს ღვინისა, წყალმა წაიღოს წყალისა!

აკადემიკოსი კოტე ლერნერი ,
ლარა ლერნერი.

* * *

2018 წლის 14 სექტემბერს ივანე ჯავახშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ისრაელის სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წვრ-კორესპოდენტს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ემერიტუს პროფესორს ბატონ გურამ ლორთქიფანიძეს 80 წელი უსრულდება, ისრაელის საელჩოს თანადგომითა და ბატონი გურამის ინიციატივით 2008 წლიდან ისრაელის სამეცნიერო ცენტრი უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფალულტეტის დამოუკედებელ სამეცნიერო ერთეულს წარმოადგენს, რომლის მიზანია მოახდინოს ებრაული კულტურის, ტრადიციების, ისტორიის, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური მიღწევების მაქსიმალური პროპაგანდა. ამ მიზნით ცენტრი ბატონი გურამ ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დღემდე აქტიურად მუშაობს, როგორც სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით, ასევე საგანმანათლებლო პროექტების სახით. ცენტრის ეგიდით უკვე გამოიცა რამდენიმე კრებული, რომელიც, სწორედ ისრაელის სახელმწიფოს კულტურულ ისტორიას მიმოიხილავს.

ბატონი გურამი ყველა თანმაშრომლის უსაყვარლესი ადამიანია. მისი პირადი თვისებებიდან განსაკუთრებით ხაზგასასმელია გამორჩეული თბილი და ფაქიზი ურთიერთობა კოლეგებთან და სტუდენტებთან. იგი გახლავთ მეცნიერების ბრწყინვალე ორგანიზატორი, არაჩვეულებრივი პედაგოგი, ქართველი არქეოლოგების შესანიშნავი პლეადის აღმზრდელი, რასაც ნახევარი საუკუნეზე მეტია ემსახურება და მიუხადავად ასაკისა, დღესაც ჩვეული ენერგიითა და წარმატებით აგრელებს სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. ბატონი გურამი მისაბაძია ახალგაზრდა თაობისათვის.

და ამიტომაც, ისრაელის ცენტრის თანმშრომლები დიდი სიყვარულით და უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ ბატონ გურამს ამ ღირშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმთელობას და ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

ისარელის ცენტრის თანმშრომლები:
იაკობ ოფირი, ელენე გეგეშიძე,
ხატია ცეცხლაძე, მავრა ლომთათიძე.

საქართველოს ებრაელობას ღმერთმა უმრავლოს თქვენნაირი მეგობრები

ავთანდილ ნიკოლეიშვილი — 70

* * *

ავთანდილ ნიკოლეიშვილს ქართველ მეცნიერთა და და საზოგადო მოღვაწეთა გალერეაში გამორჩეული ადგილი უკავია. იგი ქართველ ლიტერატურათმცოდნეთა (მე ვიტყოდი - ლიტერატურის ისტორიკოსთა და ზოგადად ისტორიკოსთა) მაღალი რანგის კოჰორტის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია. არ მახსოვს ქართულ კულტურულ სფეროში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა, ავთანდილ ნიკოლეიშვილის აქტიური მონაწილეობის გარეშე. გამჭვირვალე იყო მისი მოღვაწეობა საზოგადოებრივ თუ სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე. მთავარი ერთია - ბატონი ავთანდილი შესანიშნავი ლექტორია და ამ მხრივ სათანადო პატივისცემა და სიყვარულიცა აქვს დამსახურებული. არ შემიძლია გამოკვეთილად არ აღვნიშნო - წარმატებული იყო აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ავთანდილ ნიკოლეიშვილის საქმიანობა. იგი თითქმის ათი წლის მანძილზე საქართველოს უნივერსიტეტების რექტორთა საბჭოს წევრი იყო. ქუთაისის უნივერსიტეტი დღესდღეობით ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელია (გულწრფელად ვამაყობ, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ უნივერსიტეტის პროფესორი ვიყავი, ლექციებს ვკითხულობდი საქართველოს ისტორიაში) და აქ ბატონი ავთანდილის წვლილი დიდია.

ცალკე და განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს ბატონი ავთანდილის სამეცნიერო მოღვაწეობა. გამოვარჩევდი მის ორტომეულს, რომელიც ქართველ მწერალთა ეროვნულ-პოლიტიკური მრწამსის გადმოცემას მიეძღვნა. ამ პრობლემების მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტად მიმაჩნია. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ჩვენი სამშობლოს - საქართველოს წინაშე მძიმე სიმწვავით მდგარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ორიენტაციის პრობლემებისადმი ქართველ მწერალთა დამოკიდებულებებს. ორტომეულში მოცემული გამოკვლეული მასალა, შეიძლება ითქვას, მთელი ქართული მწერლობის შესახებ; დაწყებული იაკობ ცურტაველის ,,შუშანიკის წამებიდან“ და დამთავრებული გალაქტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებით. მთელი ეს შრომა ზოგადად ფასეულია იმითაც, რომ დასმულია საკითხი საქართველოს მომავლისა - როგორ უნდა გააგრძელოს თავისი გზა ქართველმა ერმა, საით უნდა წავიდეს, ვისთან ერთად უნდა იყოს? ორტომეულში არის სერიოზული მცდელობა პასუხი გასცეს ამ, ერთი შეხედვით, რიტორიკულ კითხვებს, ყველა ეპოქისთვის დიდ პრობლემას. მრავალმხრივია ავთანდილ ნიკოლეიშვილის შემოქმედებითი პრობლემატიკა. გარდა ზემოდასახელებულ „ორტომეულში“ შესული მასალისა, ბატონ ავთანდილს მონოგრაფიულად გამოკვლეული აქვს გაბრიელ ეპისკოპოსის, ნიკო ლორთქიფანიძის, გიორგი ლეონიძის, დავით და გერცელ ბააზოვების და სხვა ღირსეულ პიროვნებათა მოღვაწეობა.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი დღესაც დიდ და კეთილ საქმეებს აკეთებს. ვფიქრობ, ასე იქნება მომავალშიც. ამჯერად იგი იუბილარია - 70 წლისა შესრულდა.

ბატონო ავთანდილ, წარმატებები იყოს თქვენი ცხოვრებისა და შემოქმედების მარადიული თანამგზავრი.

როინ მეტრეველი
აკადემიკოსი

* * *

ღრმად პატივცემულო ბატონო ავთანდილ, სულითა და გულით გილოცავთ თქვენ, ქართული ლიტერატურის უსაჩინოეს მკვლევარს, სტუდენტთა უსაყვარლეს ლექტორს, საქართველოში უმაღლესი განათლების ერთ-ერთ დიდად დამაშვრალ ორგანიზატორს, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტის უზადო ხელმძღვანელს, მწერალს, პუბლიცისტს, სხვადასხვა ჟურნალის რედაქტორს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ჭეშმარიტ ამაგდარს დაბადებიდან 70 წლის ღირსეულ იუბილეს და გისურვებთ კიდევ დიდხანს გემოღვაწოთ ესოდენ ხვავრიელად სრულიად საქართველოსა და ქუთაისის სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

წინა ჩამოთვლის ბოლო პუნქტიდან დავიწყებ და ბარემ ამ ოფიციალური ტონიდან იმ მეგობრულ კილოზე გადავალ, რომელიც უფრო შეეფერება ჩვენს რამდენიმე ათეული წლის ისტორიის მქონე ურთიერთობას. სწორედ ამიტომ გავკადნიერდი და ჩემს სიყვარულით შედგენილ ბარათს ქუთაისის ქართველ ებრაელთა ინტონაციით გამართული ქვესათაური დავურთე. დიახ, შენ მართლაც ქართველთა და ებრაელთა ნამდვილი მეგობრობის მებაირახტრე და საყვირი ხარ (და არა რაღაც საეჭვო და თითიდან გამოწოვილ ფაქტებზე დაყრდნობილი ურთიერთობისა, როგორც უკანასკნელ ხანს მოგვიმრავლდა) ყოველგვარი კონიუნქტურისგან დამოუკიდებლად. შენი მრავალზე მრავალი საქმეის შესახებ სხვებიც იტყვიან, მე კი ამ სფეროზე შევჩერდები და რამდენიმე ფაქტს გამოვყოფ.

უპირველეს ყოვლისა, სიტყვა „ჩვენებურის“ სათაურში გამოჩენას ავხსნი: ამ სიტყვის მნიშვნელობა, როგორც ახლობლობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულისა, ყველა ქართველს კარგად მოეხსენება, მაგრამ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში მას კიდევ უფრო მეტი, განსაკუთრებული დატვირთვა აქვს - სიახლოვის უფრო მაღალ ხარისხს გამოხატავს - ქართველი ებრაელები თავიანთ მეტყველებასაც კი „ჩვენებურულს“ უწოდებენ. აი, ასეთი გაგებით შემიძლია გიწოდო ჩვენებური.

მარტო იმ დიდი რუდუნებით დაგროვილი მასალის გამომზეურება და ანალიზი რად ღირს, რაც შენ დავით და ჰერცელ ბააზოვებს მიუძღვენი. შენ არსებითად შემოუბრუნე ადრე წასული (დასჯილი) ჰერცელ ბააზოვი ქართულ მწერლობას და გზად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქართველ ებრაელთა პრესის სათავეებიც გაათავისებინე თანამედროვე მკითხველს.

ერთ, იქნებ, საჩოთირო თემასაც მინდა შევეხო: შენ ქართული ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის პიონერი ხარ, რიგი ფაქტიურად უცნობი ქართველი შემოქმედი გამოიყვანე ქართულ სამზეოზე. არანაკლები ღვაწლი მიგიძღვის ისრაელში მოღვაწე ქართულენოვან მწერალთა წარმოჩენაშიც. საჩოთირო-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ ვერამც და ვერამც ვერ დავეთანხმები, რომ ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს და მათ შორის მწერლებსაც ემიგრანტები ვუწოდოთ - ისინი თავიანთ სამშობლოში ცხოვრობენ, მაგრამ, მეორე მხრივ, ნათელია, რომ მათი ნაწარმოებები ქართულ ენაზე, არა იმ ქვეყნის ენაზე იქმნება და მათს ანალიზს შენნაირი კაცის ხელი და თვალი სჭირდება, რათა ღირსეული მიუზღოს, ჭეშმარიტ მწერალს ეს სახელი უწოდოს, შემთხვევით მიტმასნილს კი მოიარებით მაინც მიუჩინოს ადგილი. სმამაღლა მინდა ვთქვა, რომ ამას შენთვის ესოდენ დამახასიათებელი ტაქტითა და იმავდროულად ლიტერატურის კრიტიკოსისათვის მიუცილებელი სამართლიანობის დაცვით აკეთებ.

მე მგონი, გამიგრძელდა სიტყვა და შეგაწყინე თავი, თორემ მე შენი დიდკაცობისა და მაღალნიჭიერების შექება არასოდეს მომწყინდება. ამიტომ დაგემშვიდობები შენთვის კარგად ცნობილი ებრაული დალოცვით: ად მეა ვეესრიმ - ას ოც წლამდე, ჩემო ძვირფასო მეგობარო,

მრავალჟამიერ!

რეუვენ ენოხი,
არიელის (ისრაელი) უნივერსიტეტის ებრაული მემკვიდრეობის განყოფილების სრული პროფესორი, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ებრაული თემების საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

* * *

ბატონო ავთანდილ,

შოთა რუსთაველის სახელობის სტამბოლის კულტურის ცენტრი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და კეთილი სურვილებით გილოცავთ დაბადების დღეს. გვინდა კიდევ ერთხელ გითხრათ მადლობა იმისათვის,

რომ ამ ცენტრის დაფუძნების დღეს თქვენ სპეციალურად ჩამობრძანდით სტამბოლში, ჩვენს გვერდით იმყოფებოდით და გაიზიარეთ ჩვენებურების სიხარული ამ დიდი მოვლენის გამო.

ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ღვაწლი თურქეთელი ქართველების მიერ ისტორიული სამშობლოს უკეთ გაცნობის დიდ საქმეში, რისთვისაც აქაურ ქართველებს ძალიან უყვარხართ.

გვახსოვს თურქეთში თქვენი ხელმძღვანელობით ჩატარებული სამეცნიერო ექსპედიციები, რომელიც ჩვენებურების უკეთ გაცნობას და ჩვენი ცხოვრების უკეთ შესწავლას ეძღვნებოდა. ჩვენთვის უძვირფასესია თქვენი ის წიგნები, რომლებიც ამ საკითხებს მიუძღვენით.

გასული წლის მაისში ჩვენ დიდი სიამოვნებით გიმასპინძლეთ სტამბოლში და ქართული კულტურის ცენტრში მოვაწყვეთ ამ წიგნების პრეზენტაცია. არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, თუ რამდენი შრომა და სიყვარული ჩადეთ თქვენ ამ წიგნებში. აქაურ ქართველობას დიდ დახმარებასა და თანადგომას უწევთ მათთან აქტიურურთიერთობებით. თქვენი წიგნებით აშუქებთ ჩვენი წინაპრების ისტორიას, საქართველოსაცნობთთურქეთშიმოღვაწეგამოჩენილქართველებს.ჩვენ ბევრი ახალი რამ გავიგეთ და ვისწავლეთ თქვენი წიგნებიდან.

ჩვენ ძმები ვართ და ძალიან დიდ პატივს გცემთ. თქვენ ჩვენი უღალატო მეგობარი ხართ, რისთვისაც ძალიანგვიყვარხართ. გვიხარია, რომ თქვენ სტამბოლის ხშირი სტუმარი ხართ და აქ მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრებს მართავთ ხან ქართული კულტურის ცენტრში და ხან შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრში.

გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებასდაწარმატებებს.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი ყველა კეთილ საქმეში!

შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის სახელით

სალომე ბარამიძე
(სეზენ გონენჩ-ოზქანი) -სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის დამფუძნებელი და თავმჯდომარე;

ორჰან ბერიძე
სტამბოლის შოთა რუსთაველის სახელობის კულტურის ცენტრის დამფუძნებელი და თანათავმჯდომარე.

* * *

ჩემი აზრით, ადამიანის სასიცოცხლო დრო იმდენია, რამდენსაც უთმობს სასიკეთო საქმეებს.

ლოცვა და პოზიტიური მეცნიერება სიკეთის უმაღლესი გამოვლინებებია, უანგარო საეკლესიო თუ საერო მოძღვრობა კი - სიკეთის ქმნის პროცესი.

პროფესორ ავთანდილ ნიკოლეიშვილს 1993 წლიდან ვიცნობ; ბევრ სხვა პროფესორსა თუ მოღვაწესაც ვიცნობ, მაგრამ არ მეგულება ადამიანი, ვინც ამდენ დროს უთმობდეს პედაგოგობასა და მეცნიერებას; შემიძლია ვქვა, რომ სადღესასწაულო თუ სარიტუალო სუფრასთან მყოფიც კი მხოლოდ სახითაა მოტრიალებული ჩვენსკენ: რეალურად ისევ ახალ მონოგრაფიასა თუ ექსპედიაზე ფიქრობს.

ფსიქოლოგები სამი სახის ადამიანს განასხვავებენ და ამბობენ:

ზოგი ადამიანი მხოლოდ არსებაა (ინდივიდია), ზოგი სუბიექტია, ზოგი კი - პიროვნება!

ჩემეული ინტერპრეტაციით, არსება მხოლოდ თავის თავს ირჩენს, სუბიექტი ქონებას აგროვებს, პიროვნება კი თავის სასიცოცხლო ენერგიას სხვებს ახმარს; სხვებისათვის დროის დახარჯვაა მეცნიერებისა თუ უანგარო პედაგოგობისათვის დახარგული სასიცოხლო დროა; ბატონი ავთანდილი გამორჩეული პიროვნებაა!

რექტორი როცა გახდა, ბატონი მაგალი თოდუას მიერ დაწყებული სასიკეთო საქმეები განავითარა; ახალიც დაიწყო. განსაკუთრებით დიდ ყურდღებას აქცევდა ქართველოლოგიურ დარგებს, რომელთა განვითარება სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ქართველი ერისათვის.

ვითომრევოლუციურ ტალღაზე მოსულთ ასპარეზს როცა უთმბდა, მე არ ვეთანხმებოდი, მაგრამ სიმშვიდით ცნობილ აკაკიწერეტლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც დაძაბულობის კერის შექმნას გადადგომა არჩია "კავკასიის ცარცის წრის" კეთილშობილი გმირივით; ერთი მხრივ, მართალიც იყო: რექტორობა ბევრ დროს ართმევდა მის მეცნიერებას.

ბოლო პერიოდში საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მყოფ ქართველების ბედითა და მათი კულტურის გადარჩენითაა დაინტერესებული; ესეც ლოცვასავით საქმეა და მიხარია, რომ ამ მიმართულებითაც ერთად ვართ.

წერილის დასაწყისში ადამიანის სასიცოცხლო დრო სიკეთით ქმნის დროით შემოვფარგლე. ბიოლოგიურ ასაკს კი ასე განვსაზღვრავ:

ბატონი ავთანდილი დაბადებიდან 70 კალენდარული წლის შემდეგ ისეთი ენერგიით ცხოვრობს და საქმიანობს, 100 წელსაც სიკეთის მკეთებელ მოღვაწედ შეხვდება!

ტარიელ ფუტკარაძე
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი.

ამერ-იმერის ებრაელობა

ვენის ებრალეთა ყოფა



პარასკევობით,სანამ ცაზე სამი ვარსკვლავი გამოჩნდება, ვენის ძველი ქალაქის ერთ-ერთ პატარა ქუჩაზე (saitenStettengasse) ჩქარი ნაბიჯებით აღმართისკენ მიმავალ მამაკაცებს შენიშნავს დაკვირვებული თვალი; მეზობელი ორსართულიანი შენობებისგან გარეგნულად არაფრით გამორჩეულ შენობაში საკონტროლო კარების და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მოთხოვნა თუ დააეჭვებს ადამიანს...

მეცხრამეტე საუკუნის ოციანი წლების კანონების თანახმად კათოლიკურ ავსტრიაში არაკათოლიკური სამლოცველო სახლების სააშკარაოდ აგება აკრძალული იყო, სწორედ ამის გამო 1825-26 წლებში ცნობილი ავსტრიელი არქიტექტორის იოჰან გეორგ კორნჰოიზელის მიერ აგებული, დღესდღეობით ვენის მთავარი სინაგოგა მოკრძალებულად დგას ქალაქის ერთ-ერთი უძველესი წმ. რუპრეხტის ეკლესიის მოპირდაპირედ, სწორედ ამ ეკლესიას გადაურჩენია სინაგოგა პოგრომის ღამეს — 23 სინაგოგიდან ეს პაწაწინა სინაგოგა გადაურჩა ნაცისტურ რეჟიმს — იმ საშიშროების გამო , რომ ვიწრო ქუჩაზე მდებარე ეკლესიასაც მოედებოდა ცეცხლი-ამას სინაგოგის ტურისტული ჯგუფების ხელმძღვანელი, ისრაელელი ქალბატონი მალი შაკედი უყვება დამთვალიერებლებს დღეში ორჯერ; სწორედ მისგან ვიგებთ ,რომ აქ ადრე თორის 20 გრაგნილი ინახებოდა, დღესდღეობით კი მხოლოდ 11 ; ერთ-ერთი დამთვალიერებელი დანარჩენი 9 გრაგნილის ბედით ინტერესდება; ისინი ქალაქის ცენტრალური სასაფლაოს ებრაულ ნაწილში, სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ადგილზე ყოფილან დაკრძალული- მოგვითხრობს გივერეთ მალი .

დღესდღეობით ქალაქის სამლოცველოში (stadttempel გერმანულად) კაბალათ-შაბათს 100-120 კაცი ესწრება, ადგილი კი 700 კაცისთვისაა, ქალთა განყოფილება მეორე სართულზეა; აარონ ჰაკოდეშის კარები სუფთა ოქროთია მოჩუქურთმებული, მის პირდაპირ ბიდერმაიერის სტილის ორი ოქროს სასანთლეა ; ავსტრიის მთავარი რაბინისარიე ფოლგერის მისამართიც იგივეა-საიტენშტეტტენგასსე 4.

ვენაში ებრაული თემის მრავალწლიან არსებობაზე ტროტუარებზე ამოტვიფრული ოქროსფერი აბრებიც მიუთითებს-ზედ აწერია სახელი , გვარი, დაბადების და გარდაცვალების წლები; ჩემს ქუჩაზეც არის ორი:

" 1914 წლიდან აქ მთავარი რაბინის ისრაელ ფრიდმანის სამლოცველო სახლი მდებარობდა ,რომელიც ნაცისტებმა 9.11.1938 დაარბიეს, სამლოცველოს წევრების ნაწილი განდევნეს , ნაწილი დახოცეს "

" იმ 53 ებრაელის მოსახენიებლად, რომლებიც ამ სახლში , სივიწროვეში ცხოვრობდნენ, სანამ ნაცისტების მიერ დეპორტირებული და მოკლული იქნენ:

ლეოპოლდინე და მარი ფიშერი 19.2.1941 კილცეში დეპორტირებულნი;

ფრიდრიხ და რეჯინა გეჰორზამ, 12.03.1941 ლაგოვ-ოპატოვში დეპორტირებული;

ტროტარში ამოტვიფრული ოქროსფერი აბრების რიცხვი ვენაში თითქმის 200 მდეა...

თიკო თევზაძე, ვენა

ისრაელში საქართველოდან ეტლით ჩასულმა მამაკაცმა, აეროპორტში დაკავების შემდეგ „ფეხზე გაიარა“

ისრაელის მედია საშუალებები თელ-ავივში, ბენ გურიონის აერპორტში მომხდარი „სასწაულის“ შესახებ წერენ. საქმე ეხება ინციდენტს, რომლის დროსაც აეროპორტის თანამშრომლებმა საეჭვო პირები დააკავეს - ისინი ისრაელში არალეგალურად შესვლას ცდილობდნენ. როგორც timesofisrael.com წერს, დაკავებულები არიან „დეიდა“ და „დისშვილი“, რომლებიც ქვეყანაში თითქოსდა გადაუდებელი სამედიცინო მკურნალობისთვის ჩავიდნენ.

38 წლის მამაკაცი ისრაელში საქართველოდან ჩაფრინდა 40 წლის ქალთან ერთად, ეს უკანასკნელი კი ირწმუნებოდა, რომ მისი დეიდა იყო. ახალგაზრდა კაცი ეტლში იჯდა და აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლებს უთხრა, რომ ისრაელში სასწრაფო ოპერაციისთვის ჩავიდა, რადგან შემთხვევის შედეგად პარალიზებული იყო. აეროპორტის თანამშრომლებმა ეჭვი შეიტანეს საქართველოდან ჩასულ მგზავრებში, რადგან მათ არ ჰქონდათ სასტუმროს ჯავშანი, თუმცა, დიდი ოდენობით თანხა ჰქონდათ თან.

გამოკითხვის დროს აღმოჩნდა, რომ ამ ორმა პირმა ერთმანეთის შესახებ არაფერი იცოდა. „დეიდა“, რომლის ქმარიც ისრაელში სამუშაოდმყოფი აღმოჩნდა, არანაირ ინფორმაციას არ ფლობდა „დისშვილის“ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. ახალგაზრდა მამაკაცის მობილური ტელეფონის დათვალიერების შემდეგ კი, მესაზღვრეებმა აღმოაჩინეს, რომ მას ყველაფერი წაშლილი ჰქონდა - ფოტოებიც და კონტაქტებიც.

როგორც timesofisrael.com იუწყება, საიმიგრაციო სამსახურში ეჭვობენ, რომ ქალი და მამაკაცი საქართველოში დაუკავშირდნენ ერთმანეთს იმ მიზნით, რომ ისრაელში არალეგალურად შესულიყვნენ.

ამბის კულმინაცია კიდევ უფრო საინტერესოა - როცა ქალის და მამაკაცის სიცრუე გამოაშკარავდა და აეროპორტის უსაფრთხოების თანამშრომლებს ისინი აეროპორტის საკანში გადაჰყავდათ, ეტლში მჯდარი მამაკაცი წამოდგა და თავისი ფეხით გააგრძელა გზა კიბეებზე. timesofisrael.com ამის ამსახველ ფოტოსაც ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, ინციდენტის შემდეგ, არალეგალურად საზღვრის კვეთის მსურველებს, ისრაელიდან საქართველოში დეპორტაცია ელით.

Ambebi.ge

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

შიმონ ნიწუაშვილი

როშ ჰაშანა - სასამართლოს დღე

ხალხი როშ ჰაშანას ეძახის ახალ წელს, იკრიბებიან, ქეიფობენ, მხიარულობენ და დროს ატარებენ, როგორც ჩვეულებრივ ახალ წელს, მაგრამ თორაში როშ ჰაშანის დღეს არ ეწოდება ახალ წელი არამედ ეწოდება „გახსენების დღე“„იომ ჰაზიქარონ“ გაიხსენო თუ ვინ მართავს ამ სამყაროს ვინ არის ყოვლისშემძლე მეფე და მოსამართლე ამ დედამიწაზე, ადამიანს ყოველთვის უნდა ახსოვდეს ეს და როშ ჰაშანაში განსაკუთრებით, ამიტომაც ძირითადი მიცვა როშ ჰაშანის არის შოფარის დაკვრა რათა შოფარის ხმით ჰაშემმა გაიხსენოს თავისი მოწყალების და შებრალების თვისება ისე, როგორც გაიხსენა ნოახის დროს, როდესაც ნოახი ოჯახთან და ცხოველებთან ერთად კიდობანში იყო, ნოახის თაობაში ჰაშემმა გამოავლინა თავისი სამართალის თვისება და მოავლინა წარღვნა ხალხის ცოდვების გამო, მაგრამ ნოახმა მოახერხა თავისი ლოცვებით გამოევლინებინა და გაეხსენებინა ჰაშემს მოწყალების თვისება და აღარ მოევლინა წარღვნა არასოდეს ადამიანის ცოდვების გამო. აქედან თორა გვასწავლის თუ რატომ ეწოდება როშ ჰაშანას გახსენების დღე ჩვენი ლოცვებით ვედრებით და შოფარის ხმით გავახსენოთ ჰაშემს მოწყალების თვისება და შეიწყალოს თითოეული ადამიანი, ამიტომაც არის ლოცვებში ყველაზე მეტად მოხსენებული რომ ჰაშემმა გაიხსენოს შეწყალების და შებრალების თვისება და დაგვწეროს სიცოცხლეზე.

თუ ადამიანი დაუკვირდება იმას თუ რას აძლევს მას ჰაშემი მთელი წლის მანძილზე, მიხვდება რომ რა თქმა უნდა ამ ყველაფერს არ იმსახურებს, რადგან მის ნამოქმედარს არ შეესამამება, ის გაცილებით ნაკლებს იმსახურებს, მაგრამ ჰაშემი მოწყალებით მას კარგ ბედნიერ და ტკბილ წელიწადზე ბეჭდავს. რატომ? იმიტომ რომ ჰაშემი ელოდება, თუ როდის მიხვდება ადამიანი რომ სიცოცხლე და ყველაფერი რაც მას გააჩნია, ჰაშემისგან არის--წერს ხათამ სოფერი როშ ჰაშანაში ყოველ ყამიდის ლოცვაში ჩვენ ვთხოვთ ჰაშემს ოთხჯერ რომ სიცოცხლის წელიწადზე დაგვბეჭდოს, რატომ ოთხჯერ? იმიტომ რომ მაღლა ოთხი ანგელოზია, რომლებიც ცდილობენ ხალხზე ცუდი თქვან იმისათვის რომ სხვადასხვანაირად დაისაჯონ ჰაშემისგან, ერთი ცდილობს ხალხს დღეები შეუმცირდეს, მეორე: რომ ხალხი გარდაიცვალოს ნაადრევად და მძიმე სიკვდილით ავარიაში და ა.შ. მესამე ცდილობს რომ გაჭივრება გამოუგზავნოს ჰაშემმა --სიღარიბე იმდენად რომ ლუკმა პურის ფულიც არ ქონდეს და როგორც წერს გემარ აასეთი ადამიანი არის შედარებილი გარდაცვლილ ადამიანს, რადგან მას სიცოცხლე არაფრად არ უღირს და მეოთხე ანგელოზი ცდილობს რომ ხალხი იტანჯებოდეს მძიმე დაავადებებით სიცოცხლე რომ ტანჯვაში გაატარონ, აქედან თორა გვასწავლის ადამიანმა რომ იცხოვროს თუ რამდენი ლოცვაა ამისათვის საჭირო, რომ კარგი ჯანმრთელი და ბედნიერი წარმატებული შვილები გაეზარდოს და ზუსტად ამაზე ვლოცულობთ როშ ჰაშანაში რომ ჰაშემის გზაზე დავბრუნდეთ--ჰაშემის სამსახურში ვიყოთ-- ჰაშემის მიცვებს ვასრულებდეთ და ის გავხადოთ ჩვენზე მეფეთ. მაგის მიზეზია ის რომ 40 დღე მოგვცა ჰაშემმა ელულის თვიდან იომ ქიფურამდე რათა ადამიანმა შეძლოს ჰაშემს დაუახლოვდეს თავისი საქციელის გამოსწორებით და თვითონ თავისივე თავის შეცვლით თეშუბაზე დაბრუნებით რომ ჰაშემთან ახლოს იყოს და ჰაშემმაც მიიღოს მისი ლოცვები,რადგან როშ ჰაშანაში აქვს ყველა სულიერს და ყველაფერს სასამართლო რაზეც დავიწერებით ისეთი წელი იქნება მაგ ადამიანისთვის და ვერავინ ვეღარ შეცვლის მერე ვერაფერს --რაც დაიწერება განაჩენი და დაიბეჭდება იომ ქიფურში, როშ ჰაშანამდე ძალიან ცოტა დროა ყოველთვის იმისათვის რომ ადამიანმა რამე შეცვალოს მაგრამ ჰაშემი ყველას ეხმარება, ვისაც უნდა რომ იყოს უკეთესაი, ვისაც უნდა რომ ჰაშემთან და მის თორასთან ახლოს იყოს, ელულის თვიდან იომ ქიფურამდე ის დროა, როდესაც ჰაშემს ვთხოვთ ყველა ჩვენ თხოვნებს რომ ყველას რეფუა შელემა მისცეს, ვინც დასაოჯახებელია რომ დაოჯახდეს ,ვისაც შვილი არ ყავს რომ გამოუგზავნოს ბედნიერი და ჯანმრთელი შვი,ლები.

ამ ყველაფერთან ერთად ჩვენ გვაქვს მიცვები რომელიც სიამოვნებას ეხება როგორცაა სეყუდის მირთმევა და ა.შ. და ჩვენ ვღნიშნავთ სასამართლოს დღეს როგორც კარგ დღეს, წესით ადამიანი უნდა ტიროდეს, რადგან არავინ არ იცის ვის რა განაჩენი გამოუტანეს --ვინ სიცოცხლეზე დაიბეჭდა და ვინ --სიკვდილზე, მაშინ რა ამხიარულებს ადამიანს ამ დღეს? ეს სიმხიარულე იმას მიანიშნებს რომ როდესაც ადამიანმა მაქსიმალურად შეეცადა დაახლოვებულიყო ჰაშემს და მოინანია ცოდვები მთელი ელულის თვის განმავლობაში ჩვენ მივენდობით ჰაშემს რომ კარგ ბედნიერ ტკბილ და სიცოცხლის წელზე დაგვბეჭდავს ჰაშემი და სეყუდაზეც მოვამაღლებთ მის სახელს.

ჰაშემმა მრავალ წელს დაგვასწროთ ჯანმრთელობით, ბედნიერებით სიკეთით და რაც მთავარია, სიცოცხლეზე დაგვწეროს და დაგვბეჭდოს!

ჰაშემმა დაგვიჩქაროს და მოგვიბრძანოს მაშიახი და გვეზეიმოს იერუშალაიმში!

ამენ ვეამენ!

დიდი შრომა

გამოვიდა მრავალწლიანი შრომის ნაყოფი კრებული — „ქართველი ებრაელები საქართველოს საარქივო დოკუმენტებში , რომელიც ეძღვნება საქართელოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 და ისრაელის სახელმწიფოს დაარსების 70 წლის იუბილეს. წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახ.სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ.

როგორც წინასიტყვაობაშივეა აღნიშნული, ნაშრომი მიზნად ისახავს ქართველ ებრაელთა ისტორიული ყოფის წარმოჩენას საქართველის სხვადასხვა არქივსა და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული დოკუმენტური მასალის მიხედვით.წიგნი იყოფა ოთხ ნაწილად:

1. *რელიგიური შინაარსის დოკუმენტები,*
2. *კულტურულ-საგანმანათლებლო შინაარსის დოკუმენტები,*
3. *სამართლებრივ-ეკონომიკური შინაარსის დოკუმენტები,*
4. *პოლიტიკური შინაარსის დოკუმენტები*

წიგნის ავტორ-შემდგენლები ვახლავან: ნატო ახალაია, ინგა ზამბახიძე, გურამ ლორთქიფანიძე, ქეთევან ლორთქიფანიძე, ზეზვა ქავთარაძე, ეკა ხატიაშვილი.

რედაქტორია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელი წევრი კონსტანტინე ლერნერი.



ნოდარ დუმბაძის 90 წლის იუბილეს ისრაელში ზეიმობენ



14 ივლის, ისრაელის სახელმწიფოში, საქართველოს საელჩოს, დიასპორული ორგანიზაციის „მამული“, “ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის”, საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით და ქ. ლოდში მოქმედ „ქართულ სახლში“ ახლად დაბუდებული ქართული საკვირაო სკოლის მონაწილეობით, გამოჩენილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, ნოდარ დუმბაძის 90 წლის იუბილე აღინიშნა. საღამოს, რომელიც „ქართული სახლის“ ლამაზ კარმიდამოში გაიმართა, გათვალისწინებულზე ბევრად მეტი სტუმარი ენვია. ქართული დიასპორის გარდა, ბატონი ნოდარის ხსოვნის პატივსაცემად, იუბილეზე მობრძანდნენ ქართველ ებრაელთა თემის თვალსაჩინო წარმომადგენლებიც, რომლებსაც თავიანთი მნიშვნელოვანი სიტყვა ჰქონდათ სათქმელი ნოდარ დუმბაძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა მწერლის ქალიშვილი, საქართველოს საელჩოს მრჩეველი, ქალბატონი მანანა დუმბაძე. დამსწრე საზოგადოება ვიდეო-ჩართვის საშუალებით დალოცა არქიმანდრიტმა, მამა ადამ ახალაძემ, მისასალმებელი სიტყვით კი აუდიტორიას საქართველოს ელჩმა, პაატა კალანდაძემ მიმართა. ბატონმა ელჩმა ნოდარ დუმბაძის ოჯახს და მთელ ქართველ ხალხს სასიქადულო მწერლის 90 წლის იუბილე მიულოცა და განსაკუთრებული აქცენტი ქვეყნებს შორის ურთიერთობების გაღვივება-განვითარებაში დიდი ქართული მწერლობის მრავალსაუკუნოვან როლზე გააკეთა. მან ასევე ისაუბრა საქართველოს საელჩოს აქტიურ ჩართულობაზე იმ კონკრეტულ პროექტებში, რომლებიც ისრაელში ქართულ-ებრაული ლიტერატურული ურთიერთობების განვითარებას, ქართული და ებრაული თანამედროვე ლიტერატურის თარგმანსა და გამოცემას ემსახურება.

ისრაელში ახლადდაარსებული დიასპორული ორგანიზაციის „მამული“ და საკვირაო სკოლის მოღვაწეობაზე დამსწრეთ „მამულის“ ხელმძღვანელი, ბატონი ირაკლი კილაძე ესაუბრა. საკვირაო სკოლის მოსწავლეებმა კი სტუმრებს ნოდარ დუმბაძის საბავშვო ლექსები წაუკითხეს. ისრაელში ქართული ხელოვნების ცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა მარინა გელაშვილმა, თავის მრავლისმომცველ, მსმენელის მართლაც რომ მომნუსხველ სიტყვაში, სათანადო პატივით ქართული მწერლობის ბუმბერაზის, ვაჟა ფშაველასა და საქართველოს ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის დაბადების დღეც - 14 ივლისი მოიხსენია. საღამოს გვირგვინი კი გახლდათ, ნოდარ დუმბაძის ცხოვრების ცოცხალი მოწმის, ისრაელში აფხაზეთიდან 25 წლის წინ ამოსული, მისი ერთ-ერთი სოხუმელი მეგობრის, ბატონი ბადრი კილაძის სევდანარევი, თან მხიარული მოგონებები ნოდარ დუმბაძის ცხოვრების აფხაზური პერიოდიდან.

საღამო გაჯერებული იყო ვიდეო-მასალით ნოდარ დუმბაძის ბიოგრაფიული ფილმებიდან და სპექტაკლებიდან, ასევე, საალბომო ფოტოებით და მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეში გაფანტული ქართველი ემიგრანტების მიერ გამოგზავნილი ვიდეო-მილოცვებით. იუბილეს წამყვანმა დამსწრეთ კიდევ ერთი სიურპრიზი მოუწყო: დარბაზში, თბილისიდან, სპეციალურად ამ დღისთვის გამოცემული, ნოდარ დუმბაძის „ყველა მოთხრობის“ ოთხი სასიგნალო ეგზემპლიარი ლატარიით გაათამაშა. საღამოს ორგანიზატორთა გასახარად, წიგნმა გზა ჭეშმარიტი ადრესატისკენ თავად გაიკვლია - იმ ოთხი ეგზემპლიარიდან ერთი, „მამულის“ საკვირაო სკოლის მოწაფე გოგონას ერგო.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის მთაწმინდის
რაიონის სასამართლოს
მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003